ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026
https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.28

იყიდება ღარიბების ქვეყანა! ხელოვნება, როგორც პროტესტი და დროის კრიტიკული დისკურსი

ნათია წულუკიძე

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ხელოვნება, პროტესტი, პოსტკოლონიური ხელოვნება, ქართული ხელოვნება, მარინა აბრამოვიჩი, ანიშ კაპური, იინკა შონიბარე, დემნა, გაგოშა.

თანამედროვე ქართული ხელოვნების ტენდენციების განხილვა მკაფიოდ წარმოაჩენს ქართული კულტურის პასიურობასა და ემოციურ სტერილურობას უახლესი ისტორიული წარსულის გააზრებისა და გაცნობიერების კუთხით. მუდმივად წარსულის განდიდებაზე ორიენტირებული, თითქმის „ნეკროფილურად“ გარდაქმნილი ქართული იდენტობა ვერ ახერხებს რუსული და საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ მიყენებული ეროვნული და ისტორიული ტკივილის ხელოვნების ნაწარმოებად ტრანსფორმირებას. კოლონიური წნეხისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას თითქოს აფრთხობს ეს თავისუფლება, ცნობიერ ტყვეობაში რჩება და მის წიაღში ვერ იბადება სახელოვნებო პროტესტი, ტრავმულ პერიოდს ვერ ანაცვლებს პოსტტრავმული პერიოდი. 1990-იანი წლებიდან უამრავი ქვეყნის კულტურაში ჩნდება პოსტკოლონიური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები (მათ შორის ირანულშიც. მაგალითად შირინ ნეშატი ან სალმან რუშდი). ქართული ხელოვნება სამწუხარო გამონაკლისად რჩება, ის დღემდე ვერ გათავისუფლდა საბჭოეთისაგან მემკვიდრეობით დატოვებული დუმილის კულტურისა და ტრავმის გაუთქმელობის ესთეტიკისაგან. მასში ისტორიული თუ თანამედროვე ტკივილი, ჩაგვრა, უსამართლობა კვლავ ტაბუირებულ თემებად რჩება. ამ ფონზე ყველაზე საშიში და სამწუხარო შეკითხვა ჩნდება - ქართულ წიაღში პოსტკოლონიური კულტურის ვერ დაბადება, ეროვნული მენტალიტეტის კვლავ კოლონიალიზმისთვის მზაობას ხომ არ ნიშნავს?

პარადოქსია, რომ „ხელოვნება დამოუკიდებელია და ამავე დროს არ არის. ის ერთდროულად ორივეა“.[1] თუმცა, ის სწორედ მაშინ იძენს ნამდვილ ძალას, როდესაც ახერხებს ამ პარადოქსის გადაჭრას, შემოქმედებითი ნების და პროტესტის შერწყმას. ხელოვნების დისკურსი დროის მიმართ კრიტიკულია. ის არის წინააღმდეგობის ფორმა არა მხოლოდ პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, არამედ იმ ნორმალიზებულ სიჩუმესთანაც, რომელსაც საზოგადოება იკავებს. XX საუკუნის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე ძლიერი არტისტული ენები სწორედ საზოგადოებრივი კრიზისის ეპოქაში იქმნებოდა (დადა, ექსპრესიონიზმი, სიურრეალიზმი, პოსტკოლონიური არტი, აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტური ხელოვნება), როგორც დროის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე მაჩვენებელი და ეპოქის სოციალური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობის ამსახველი მედიუმი. თუმცა არა როგორც დროის მექანიკური აღბეჭდვა, არამედ მისი შინაგანი ტემპის, რწმენისა და ტრაგედიის გადმოცემა. ნათელია, რომ „ისტორიის ასახვა არ ნიშნავს მის

1 ADORNO, Aesthetic, 1997, p. 5.

მართებულ გააზრებას“.[2] შესაბამისად, ხელოვნება არა მხოლოდ რეალობის ესთეტიზაციაა, არამედ იმ ისტორიული მომენტის შინაგანი ენერგიის გამოხატვაა, რომელშიც იგი იქმნება. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სოციალური და პოლიტიკური კრიზისები მუდმივი თანმხლები მოვლენაა, ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება პროტესტი – არსებული წესრიგის, ძალადობრივი დისკურსების, სოციალური უთანასწორობისა და ინდივიდუალური განადგურების წინააღმდეგ.

თუ ვიტყვით, რომ ხელოვნება, ნებისმიერი ეპოქის თუ ჟანრის, სწორედ პროტესტი, აჯანყება და ამბოხია, ხოლო ხელოვანი აჯანყებული ნონკონფორმისტი, სიახლე ნამდვილად არ იქნება. ხშირად ხელოვნებაში, წმინდა არტისტული თემებისა და სტილური დაპირისპირების პარალელურად, ამბოხების მიზეზი ისტორიულად არსებული უსამართლობა ან ტრაგედიები ხდება. განსაკუთრებით თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს საპროტესტო თემებზე რეფლექსია და ეკოლოგიიდან დაწყებული, გენდერული თემით დამთავრებული, ყველა თანამედროვე პრობლემაზე შეგვიძლია გავიხსენოთ სრულიად შესანიშნავი არტისტები და არტეფაქტები.

ბალკანეთის ომს მარინა აბრამოვიჩი პერფორმანსით „ბალკანური ბაროკო“[3] ეხმიანება, ვენეციის ბიენალეზე 1997 წელს ბნელ, უფანჯრო ოთახში გრძელ თეთრ პერანგში გამოწყობილი ძვლების ნარჩენების გროვაში ჯდება, მღერის ბალკანურ სიმღერებს და სამი დღის განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობს ძროხის ძვლების გაწმენდას სისხლისა და ხორცის ნაწილაკებისაგან. აბრამოვიჩის პერფორმანსების მთავარი კონცეფცია საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვრის ძიება და გამოცდაა. თუმცა, ამ შემთხვევაში, უკვე გამოცდილმა და საყოველთაოდ აღიარებულმა პერფორმერმა მაყურებლის ფიზიკური შესაძლებლობებიც გამოსცადა: 1997 წელს განსაკუთრებით ცხელი ზაფხული იყო ვენეციაში, გახრწნილ ძვლებს მატლები ესეოდა და საშინელი სუნი ჰქონა. აბრამოვიჩი მეტაფორულად ბალკანეთის ომის ხატს ქმნიდა და მისი შემაძრწუნებლობის სრულყოფილი რეპრეზენტაციისთვის ყველაზე ეფექტურ და პირდაპირ ხერხს მიაგნო. ეროვნული ტკივილი მსოფლიო სცენაზე გაიტანა, უსიტყვო პერფორმანსით ყველაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთა და ბიენალეს ვენეციის ოქროს ლომთან ერთად საკუთარი სამშობლოსთვის საჭირო და აუცილებელი ყურადღება მოიპოვა საერთაშორისო საზოგადოებისაგან.

ანიშ კაპურის ინსტალაცია – „კუთხეში სროლა“[4] (2008–2009) ძალადობის ესთეტიზაციისა და ისტორიული ტრავმის მატერიალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ნიმუშს წარმოადგენს. ბრინჯაოს დიდი ქვემეხი გარკვეული ინტერვალით ისვრის სისხლისფერი წითელი ცვილის ყუმბარებს გალერეის ნეიტრალურ თეთრ კუთხეში. ყოველი გასროლა ტოვებს ფიზიკურ და ვიზუალურ კვალს – წითელი მასა ფეთქდება, იფანტება, იშლება, სვრის კედლებსა და იატაკს. შედეგად ჩნდება ექსპრესიული, სისხლისმაგვარი ლაქები და გროვები. ნამუშევარი პროცესუალურია და დროში ვითრდება – თითოეული გასროლა მთლიან კომპოზიციას ცვლის. კაპური რიტუალურ განზომილებას ქმნის და მაყურებელი არა მხოლოდ შედეგს, არამედ თავად პროცესსაც ხედავს. ცვილის გასროლა შეიძლება აღვიქვათ როგორც სულიერი კათარზისი, ძალადობისაგან გათავისუფლების აქტი, ისტორიული ტრავმისა და გამოცდილების ალეგორია, რომელიც არ იშლება, არამედ კულტურულ მეხსიერებაში ილექება.

მიუხედავად იმისა, რომ ანიშ კაპური ამ ნამუშევარს არ აძლევს უშუალოდ პოლიტიკურ ინტერპრეტაციას, ნამუშევარი ხშირად იკითხება პოსტიმპერიალისტურ და პოსტტრავმულ კონტექსტში. პირდაპირი ძალადობითა და შიშველი აგრესიით სივრცის დამორჩილების ვიზუალს უპირობოდ მივყავართ ნამუშევრის პოსტკოლონიურ გააზრებამდე. ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით შეიძლება პერიფერიული მოდერნიზმის ნიმუშადაც განვიხილოთ, მითუმეტეს, რომ მას დიდ ბრიტანეთში, ლონდონში მცხოვრები ინდოელი არტისტი ქმნის.

იინკა შონიბარეს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბრიტანელ-ნიგერიელი კონცეპტუალური არტისტის, შემოქმედება მუდმივად სვამს კითხვებს კულტურული იდენტობის, ძალაუფლებისა და ისტორიული მეხსიერების შესახებ. მისი ნამუშევრები ხშირად ეფუძნება დასავლური ვიზუალური ხელოვნების ტრადიციას და ცნობილ ნიმუშებს

2 BENJAMIN, Illuminations,1969, p. 255.

3 ResearchGate, Marina Abramovic, Balkan Baroque, 1997, Biennale di Venezia.

4 Anish Kapoor, Shooting into the Corner, 2008–2009.

აფრიკული ქსოვილის - ეგრეთ წოდებული Dutch wax fabric-ის გამოყენებით „აბინძურებს“.

შონიბარე კულტურულ იდენტობას განიხილავს ჰიბრიდულ სივრცედ, რომელშიც კოლონიური წარსულს და თანამედროვე გლობალიზაციას აერთიანებს. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი, „საქანელა (ფრაგონარის მიხედვით)“ (2001), როკოკოს ეპოქის კლასიკური ნიმუშის ტრანსფორმირებულ რეპლიკას წარმოადგენს - ფიგურას არ აქვს თავი, ვეროპული კოსტიუმი კი აფრიკული ფერადი ქსოვილით დამზადებული კაბით აქვს ჩანაცვლებული. ამ ფორმით ხელოვანი ქმნის პარადოქსულ სურათს, სადაც ევროპული ელეგანტურობა და იდილიის ესთეტიკა თანაარსებობს ძალადობისა და ექსპლუატაციის ალუზიებთან. მოკვეთილი თავი იქცევა კოლონიალიზმის ძალადობის სიმბოლოდ, ხოლო აფრიკული ქსოვილი - იმ კულტურული ჰიბრიდულობის ნიშნად, რომელიც კოლონიალიზმის შედეგად ჩაისახა. შონიბარე მშვენიერებას ცდუნების ფორმად იყენებს, რათა მაყურებელი ძალაუფლების, რასის, ისტორიის რთულ და კონფრონტაციულ საკითხებში შეიტყუოს. მისთვის „ისტორიული შეცდომების გააზრება სამყაროს გაუმჯობესების გზაა“.[5]

შონიბარე მშვენიერებასა და დეკორატიულობას იდეოლოგიურ მახედ იყენებს - მაყურებელი თავდაპირველად აღფრთოვანებულია დახვეწილი ფორმებით, მაგრამ შემდეგ იძულებულია დაინახოს ის უსამართლობა, რომელიც დასავლური კულტურის ესთეტიკურ იდილიას უდევს საფუძვლად. ამგვარი პროტესტის ფორმა ძალადობის პირდაპირი ასახვის ნაცვლად სტრუქტურული დეკონსტრუქციით, ფორმის დესტაბილიზაციით, ინტელექტუალური ირონიით მუშაობს. შონიბარე ესთეტიკურ ფორმას პროტესტის ფორმად გარდაქმნის. მისი სტრატეგია, პოლიტიკური მოვლენების თუ ისტორიული სცენების პირდაპირი ასახვის ნაცვლად, გულისხმობს თეატრალიზებულ სარკაზმს, ისტორიული ძალადობის ინტელექტუალურ გადამუშავებას.

პოსტკოლონიური კულტურიდან კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია. თუმცა უკვე განხილული მაგალითებიც საკმარისია დავინახოთ თანამედროვე ქართული ხელოვნების პარადოქსული მდგომარეობა: ქვეყანას, რომელსაც ტრავმებისა და სოციალური დრამების მთელი კასკადი აქვს - კოლონიური წარსული, ომები, ტერიტორიული დანაკარგები, ეკონომიკური ნგრევა, პოლიტიკური პოლარიზაცია - თითქმის არ გააჩნია ხელოვნების ისეთი ფორმები ან ნიმუშები, რომლებიც ამ გამოცდილებას პროტესტის ენით გარდაქმნიან და არტობიქტად აქცევენ. თანამედროვე ქართული ხელოვნება თითქოს მოწყვეტილია საკუთარ დროს, ვერ ან არ ხედავს იმ ეპოქის ტკივილს, რომელშიც არსებობს. ქართველი ხელოვანი და ქვეყანაში არსებული რეალობა აბსოლუტურად აცდენილია ერთმანეთს: სად გაქრა ქართულ ხელოვნებაში გაუქმებული სამართლის და სამართლიანობის, ყოველდღიურად მიტაცებული ქართული ტერიტორიების, ეკლესიის კართან მოკლული კაცის, ჯგუფურად ნაწამები ქართველი ჯარისკაცის, ქუჩაში ხელგაწვდილი მშიერი ადამიანების, „შავ მუშებად“ გადახვეწილი არალეგალი ემიგრანტების, ფეხით გადალახული მექსიკის და კიდევ უამრავი ტკივილი? თუ თავის გასამართლებელ არგუმენტად მოვიყვანთ, რომ ხელოვანებს დროითი დისტანცია და კონტემპლაცია სჭირდება, მაშინ ახალი კითხვების კასკადი გაჩნდება და ამ არგუმენტსაც ულმობლად გაანადგურებს - 33 წლის წინ ბავშვების თავებით ნათამაშები ფეხბურთი? ნაწამები შვილის გადაყლაპული თვალი? 34 წლის წინ სამოქალაქო ომით განადგურებული და გვამებით გავსებული თბილისი? სამაჩაბლოში გაწირული ადამიანები?

სამწუხაროა, თუმცა აშკარაა, რომ ქართულ ხელოვნებაში კრიტიკული ენერგია თითქოს გაუჩინარდა, ვეღარ ახერხებს ისტორიის, როგორც შემოქმედებითი იმპულსის წვდომას. თუ ხელოვნება არის დროის სარკე, მაშინ თანამედროვე ქართულ ხელოვნებას დროის ანარეკლი დაეკარგა. წარსულის ტრავმა არა აქტუალურ გამოცდილებად, შემოქმედებით ენად, არამედ პაუზად იქცა. ვფიქრობ, სწორედ ამ „ისტორიული გაჩერების“, კულტურულ-შემოქმედებითი პაუზის გამო, ქართული ხელოვნება ვერც აწმყოში ახერხებს მორალური პოზიციის დაცვას - რკინის ფარდის მიღმა გალეულმა ვერც შემოქმედებითმა მუხტმა და ვერც პიროვნულმა გამბედაობამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა რეაბილიტაცია.

ამ ხარვეზის გამოსწორებას თითქოს ქართული კინო ცდილობს. თუმცა, „მანდარინების“, „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, „სოხუმის“ მიერ შემოთავაზებული პრობლემის ზედაპირული და პათეტიკური გააზრება ოდნავადაც ვერ არხევს, ვერ ეხება

5 ELKAN, Yinka, 2024.

ნერვს, რომელსაც რეალურად აქვს ეს ტკივილი განცდილი და გადატანილი. მოკლედ, ქართული ხელოვნება თუ თანადროული ეპოქის პრობლემებს ვერ იაზრებს, ჯერ ვერც უახლესი წარსულის ტკივილის ტრანსფორმაციას ახერხებს მხატვრულ ფორმად.

ქართული ხელოვნებაში დაბლოკილი პროტესტის, გაუზიარებელი ეროვნული ტრაგედიების, შემოქმედებითი და იდეური სტერილურობისა და უნაყოფობის რამდენიმე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ:

1. ისტორიული წყვეტა და მეხსიერების პრობლემა

პირველი მიზეზი, ალბათ, ისტორიული წყვეტაა. საბჭოთა ცენზურამ ხელოვნება მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქცია. ეს კულტურა არანაირ კრიტიკას არ ითმენდა, შესაბამისად, პროტესტი მეტაფორად, მინიშნებად, ალეგორიად გადაიქცა. საბჭოთა ეპოქის შემდეგ კი 1990-იანი წლების პოლიტიკურმა ქაოსმა, ეკონომიკურმა ნგრევამ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა, სამოქალაქო დაპირისპირებამ ხელოვნება თვითგადარჩენის რეჟიმში ჩააყენა: მას აღარ ჰქონდა ტრავმის ესთეტიკურად გააზრების რესურსი.

მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა ფონმა საზოგადოების კულტურული ფსიქიკის რეპრესია მოახდინა და ჩამოაყალიბა კულტურული ჰაბიტუსი, რომელშიც სოციალური ტკივილი დუმილის ნორმად იქცა. ასეთ გარემოში ხელოვნებას აღარ შესწევს ძალა პროტესტის იარაღად იქცეს და გაქცევის, ანთროპოლოგიური სიჩუმის ფორმა ხდება. შედეგად, თანამედროვე ქართული ხელოვნება საკუთარი ისტორიის ტკივილზე დაფუძნებული თვითგამოხატვის ნაცვლად ცდილობს იპოვოს უნივერსალური ესთეტური ენა, რომელიც საერთაშორისო სცენისთვის იქნება მისაღები. ის ეხება ეროვნულ ნიადაგზე არსებულ გლობალურ პრობლემებს: ქორწინება მცირეწლოვან ასაკში, გენდერული თანასწორობა, სექსუალურ უმცირესობათა პრობლემები, რელიგიური ტოლერანტობა, ეკოლოგიური პრობლემები და ასე შემდეგ. თუმცა, ამ მიმართულებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშები საერთაშორისო დონეზე ანგაჟირებულ თემებზე მორგების მცდელობა უფროა, ვიდრე შინაგანი, ეროვნული თუ პიროვნული განცდის სიღრმიდან ამოხეთქილი შემოქმედებითი მუხტის შედეგი.

2. ინსტიტუციური ჩარჩოები და კონფორმიზმი

პროტესტის ფორმის არარსებობა მხოლოდ შემოქმედებითი მუხტის სიმცირით, ეროვნული ტკივილის ნიველირებით არ არის განპირობებული. კიდევ ერთ ობიექტურ მიზეზად, შესაძლოა, ინსტიტუციური სივრცე განვიხილოთ. ქართული ხელოვნების განვითარების ბოლო ორ ათწლეულში დაიწყო საერთაშორისო არტ-სისტემაში ინტეგრაციის პროცესი — ბიენალეები, რეზიდენტული პროგრამები, კერძო გალერეები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კულტურის ფონდების გრანტები. ეს ინტეგრაცია, ერთი მხრივ, პროგრესია, მაგრამ, მეორე მხრივ, მოაქვს ახალი კონფორმიზმი: აწესებს ესთეტიკური და პოლიტიკური ნეიტრალობის სტანდარტს. თანამედროვე დაფინანსების წყაროები, კერძო კოლექციონერები, ოფიციალური და განსაკუთრებით სახელმწიფო ინსტიტუციები დიდწილად სწორედ „სალონურ“ ნეიტრალობას მოითხოვენ. შესაბამისად, კრიტიკული პოტენციალი ნელ-ნელა დეკორატიული ხდება და მიმდინარეობს ქართული კულტურის „სალონიზაციის“ პროცესი, რაც თავისთავად გულისხმობს კონფორმისტულ პოზიციას. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა წარსულში „სალონიზაციის“ თვისება ქართულ კულტურას ისედაც კარგად ჰქონდა გათავისებული და ამ კუთხით ნამდვილად გვევლინება ტრადიციის გამგრძელებლად.[6] ნათელია, რომ სისტემის მიერ აღიარებულ ხელოვნებას არ შესწევს სისტემის კრიტიკის ძალა. ისედაც მცირე ინსტიტუციურ ველზე დამოკიდებული თანამედროვე ქართველი არტისტისათვის კი პირდაპირი პოლიტიკური პროტესტი, გლობალურის ნაცვლად, ლოკალური, ეროვნული თემატიკის არტისტული გადამუშავება შეიძლება ნიშნავდეს მარგინალიზაციას, გამორიცხვას ფინანსური მხარდაჭერის ქსელიდან. ამიტომაც ჩნდება ეგრეთ წოდებული „სალონური ხელოვნება“ - ფორმალურად ავანგარდული, მაგრამ შინაარსობრივად ნეიტრალური.

ქართული თანამედროვე კულტურა ვერ უარყოფს ხელოვნებას როგორც ინსტიტუციურ პრაქტიკას, ვერ უზრუნველყოფს მის პოლიტიკურ ჟესტად გადაქცევას. ხელოვნება, რომელიც მთლია-

6 მნიშვნელოვანია, რომ სალონურ ქართულ მხატვრობას საბჭოთა პერიოდშიც ჰყავდა შესანიშნავი გამონაკლისები. მაგალითად ავთო ვარაზი ან ალექსანდრე ბანძელაძე. თუმცა მათი შემოქმედება ვერ ცვლიდა ეროვნული კულტურის ზოგად ნეიტრალურ სახესა და ხასიათს.

ნად ემსახურება რეალობას, კარგავს თავის კრიტიკულ ფუნქციას; ხოლო ხელოვნება, რომელიც სრულიად შორდება რეალობას, კარგავს მნიშვნელობასაც.[7] შესაბამისად, ქართულ თანამედროვე ხელოვნებას მნიშვნელობაც დაკარგული აქვს და ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი არსიც - კრიტიკული ფუნქციაც.

3. ტრავმის გამოთქმის აკრძალვა

საბჭოთა ცენზურამ ქართულ კულტურულ ჰაბიტუსს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი დაუტოვა მემკვიდრეობად - ტრავმის გამოთქმის აკრძალვა. ეს ჩვევა დღემდე აქტუალურია და საუკეთესო გამოვლენას თვითცენზურის ფორმით პოულობს. ქართული კულტურა ვერ ახერხებს საბჭოთა მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას და ახალ არტისტულ ველში გადანაცვლებას. ქართული შემოქმედება ვერ ააქტიურებს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას - ტრავმული გამოცდილების არტისტულ ტრანსფორმაციას.

თანამედროვე საქართველოს პრობლემა, ხშირად, დასავლურ სივრცეში უფრო ადეკვატურ და დროულ ასახვას პოულობს ვიდრე საქართველოში. საკვირველია, მაგრამ ძირს დაგდებულ პროტესტანტს, რომელსაც თეთრ პარიკსა და შავ მანტიაში გამოწყობილი მოსამართლე ულმობლად უღერებს საკუთარ ჩაქუჩს ბრიტანელი სთრით არტისტი, ბენქსი ხატავს. თუმცა, მწვავე სიმართლეს ხშირად ვერც დასავლური დემოკრატია უსწორებს თვალს - ეს სტენსილი, ლონდონშიც წაშალეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს:

- რომ სამართლის პრობლემა გლობალურია, და მხოლოდ ქართულ რეალობას არ ეხება.
- ქართული ხელოვნება არ და ვერ ახერხებს რეალობის არტისტულ ფორმაში გააზრებას.

4. „ისკუსტვოვრედები“[8]

ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქართველი არტისტების საკმაოდ მყიფე და ზედაპირული თეორიული ბაზა, რომელიც აიძულებს ისევ ახსოვდეთ საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა ხუმრობა, ხელოვნების თეორიის ავტორები „ისკუსტვოვრედებად“ მოიხსენიონ და თავი დაირწმუნონ, რომ კარგი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად ჯერ კიდევ საკმარისია იცოდე სწორად ხატვა, გადაღება, კვეთა და ასე შემდეგ.[9] არადა, თანამედროვე სამყარო უკვე საუკუნეზე მეტია შეთანხმდა, რომ ხელოვნება ფოლოსოფიაა, ფილოსოფია კი სიბრძნის სიყვარულია, სიბრძნე ჭეშმარიტების ძიებაა. სამწუხაროა, მაგრამ ვიდრე ქართული კულტურა ამ ჭეშმარიტების ძიებას არის აცდენილი და ჯერ კიდევ სწამს, რომ შემოქმედება ერთპლასტიანია და მხოლოდ მოქნილ ხელს მოითხოვს, ისევ დარჩება ნელ-თბილ მდგომარებაში და ცოცხალ-მკვდრის პოზიციაში.

გამონაკლისები

ქართული ხელოვნება ჯერ ვერ ახერხებს ტრავმის გარდაქმნას ფორმად, თუმცა მაინც შეიძლება რამდენიმე ნიმუშის დასახელება, რომლებიც ეროვნული ტრაგედიების სახელოვნებო ფორმით გაცნობიერების მცდელობას წარმოადგენს.

ზემოთ გაშლილი მსჯელობა მხოლოდ ზოგადი სურათის დახასიათებაა და გამონაკლისების განხილვა მეტნაკლებად მაინც შეამსუბუქებს ქართული კულტურისათვის გამოტანილ განაჩენს. ყველასათვის კარგად ცნობილი თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიების“ და იური მეჩითოვის 9 აპრილის ფოტოს გარდა, ტკივილისა და პროტესტის მხატვრულ ფორმაში გარდაქმნის საუკეთესო მაგალითებად შეგვიძლია გავიხსენოთ ქართველი მხატვრების 80-იანელთა თაობის - ირაკლი ფარჯიანის, გია ბუღაძის, მერაბ აბრამიშვილის - ბიბლიურ-ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილი ტილოები. პროტესტის კონტექსტში განსაკუთრებით რელევანტურია ლევან ჭოღოშვილის ფერწერული

7 BAUDRILLARD, Simulacra, 1981, pp. 251-252

8 რუსულ ენაზე დაფუძნებული ხუმრობა: искусствовед - ხელოვნებათმცოდნე, искусствовред - ხელოვნების მავნებელი.

9 საბედნიეროდ, ქართულ რეალობას ამ კუთხითაც ჰყავს გამონაკლისები. კარლო კაჭარავა მხატვრობაში ხელოვნებათმცოდნეობიდან მივიდა. 1990-იან წლებში შექმნილი მისი თეორიული ნაშრომები დღემდე ფუნდამენტურ სამეცნიერო მასალას წარმოადგენს თანამედროვე ქართული ხელოვნების კვლევისათვის. გია ბუღაძე ნამდვილად გამოირჩევა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საოცრად ღრმა ცოდნით. იგი ამ მიმართულებით აქტიურ პროფესიულ საქმიანობასაც ეწევა. მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, აქვს სალექციო კურსები, გადაცემები, ბლოგები და ასე შემდეგ.

სერია – „განადგურებული არისტოკრატია“. 1980-იანი წლების ქართულ კულტურაში, ნამდვილად იყო გარღვევა ჭოღოშვილის მიერ ძველი ფოტოების საფუძველზე შექმნილი მართლაც შესანიშნავი ნიმუშები და ფარჯიანის, ბუღაძის, აბრამიშვილის ბიბლიურ-ისტორიული სიუჟეტები. თუმცა, დღეს ზედმეტად შეფარული და არისტოკრატული საპროტესტო მუხტი და ნოსტალგიური განწყობა საერთო ობივატელური გემოვნებისათვის მისაღებ, ესთეტიკური ტკბობის ობიექტად აქცევს ნამუშევრებს. ტრაგედია უკანა ხედზე ინაცვლებს და მთავარ ეფექტს საინტერესო ფერწერული ხერხებით ამოწერილი მომხიბვლელი პერსონაჟები ახდენენ. პროტესტი კი დიდად აღარც მაშინ იყო ამგვარი სიუჟეტები, საბჭოთა „პერესტროიკამ“ ისედაც დასაშვები გახადა ისტორიული თუ რელიგიური თემების ასახვა.

ოკუპაციისა და რუსული სისასტიკის თემა ეფექტურად არის ასახული მიშა შენგელიას 2000-იან წლებში შექმნილ ნამუშევრებში. მხატვარი მისთვის სახასაითო სარკაზმით ხატავს კონსერვის ქილას წარწერით „тущонка из чеченского мясо“ (ჩეჩნური ხორცის კონსერვი) ან კავკასიონის პეიზაჟს ცნობილი სიმღერის სათაურით „одножди руский генерал“ (ერთხელ რუსმა გენერალმა) და ორივე სურათით ზუსტად ახასიათებს რუსი გენერლების მიერ კავკასიაში დატოვებულ ნაკვალევს. მხატვარი ხშირად წინასწარმეტყველურიც არის და სამხედრო გემს ბალტიის ზღვაში ჯერ კიდევ 2017 წელს ხატავს, 2015-ში კი პირდაპირ გვაფრთხილებს „война на носу, сер!“ (ომი ცხვირწინაა სერ!) და პიერო დელა ფრანჩესკას ცნობილ პერსონაჟს – ფედერიკო და მონტეფელროს ცხვირზე ბუზივით ციცქნა, შავ ტანკს ახატავს.

ფოტოგრაფიას, როგორც რეალობის ამსახველს უფრო მარტივად უნდა ეპასუხა ამ გამოწვევისათვის და ბუნებრივად აესახა მოვლენები, რომლებმაც უამრავი ღრმა ჭრილობა დაუტოვა ეროვნულ ცნობიერებას. თუმცა შესანიშნავი გამონაკლისების დასახელება არც ფოტოგრაფიის შემთხვევაში გაგვიადვილდება. მეტაფორად ქცეული მეჩითოვის 9 აპრილის ფოტოს გვერდით იგივე მხატვრული წონისა და მნიშვნელობის ნიმუშებს თითქმის ვერ დავასახლებთ. მიუხედავად იმისა, რომ გოგი ცაგარელი და შახვალდ აივაზოვი პროფესიულად იღებენ თანამედროვე ომების ქრონიკებს.

1990-იანი წლების პრობლემებს მისთვის სახასიათო კონცეპტუალური ხერხებით ასახავს გურამ წიბახაშვილი ფოტოწიგნით „ზამთარი გადატანილია“. ფოტოგრაფი მძიმე, ბნელ გარემოს იმავე პერიოდის ახალგაზრდა არტისტების შემოქმედებითი თუ ყოველდღიური ყოფის კადრებით აცოცხლებს და შთაბეჭდილებას თავისივე მცირე ზომის საავტორო ტექსტებით ამძაფრებს. ლოკალურ, მეგობრების გარემოში გადაღებული ფოტოებით და ურბანული პეიზაჟებით ქვეყნის გლობალური პრობლემების სიმძაფრეს ასახავს. თუმცა, თუ ფოტოწიგნის სტრუქტურაზე ვისაუბრებთ, ვფიქრობ, ფოტოები და წიბახაშვილისვე ტექსტები გაცილებით უკეთ იმუშავებდა ანა კორძაია-სამადაშვილის ცოტა არაორგანულად ჩართული დოკუმენტური პროზის გარეშე. ამასთანავე, ზამთრის გადატანილად მიჩნევა ზედმეტად ოპტიმისტურ პოზიციად მიმაჩნია, რადგანაც იმ ეპოქამ უამრავი ღრმა ჭრილობა დაუტოვა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და მისი დასრულებულად გამოცხადება ამ იარების გააზრებისა და გამოცდილების გათვალისწინების მცდელობის უარყოფას ნიშნავს.

თანამედროვე ქართულ სახელოვნებო სივრცეში მნიშვნელოვანი იმპულსები შემოაქვს ჩვენთვის ახალ მიმართულებას – სთრით არტს. სთრით არტის უმთავრესი კონცეფცია სწორედ პროტესტია, უმეტესად ანონიმურად გამოხატული. ამიტომაც თუკი ეგრეთ წოდებულ ტრადიციულ ხელოვნებას გავცდებით, მუზეუმებიდან და გალერეებიდან ქუჩაში გავალთ და შენობებზე გაფანტულ ნიმუშებს „შევაგროვებთ“ მარო მაყაშვილის და გიორგი ანწუხელიძის სტენსილებს ან ჩამოშლილ კედელზე ქართველი სთრით არტისტის, გაგოშას მიხატულ „სარეკლამო განაცხადს“ წავიკითხავთ:

„იყიდება ღარიბების ქვეყანა. კარგი ლოკაციით, სარემონტო მდგომარეობაში“.

ნათელია, რომ ამ ქუჩის ხელოვნების ნიმუშის მთავარი ღირსება ნონკონფორმისტი ხელოვანის მიერ თანამედროვე ტრაგედიის გააზრება, გულწრფელი ასახვაა. ეს ფრაზა თითქოს მთელი ეპოქის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური პოზიციის ფორმულირებას ახდენს და ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის დიაგნოზიც არის. ეს მინიმალისტური მანიფესტი, როგორც სოციალური სარკე, ასახავს იმას, რაც ოფიციალურ ხელოვნებაში ვერ ითქვა. ამგვარი ტექსტი-გრაფიტი გვიჩვენებს, რომ პროტესტის ენერგია ბოლომდე არ გამქრალა – ის უბრალოდ სხვა სივრცეში – ქუჩაში გადავიდა, სადაც მას შეუძლია იყოს პირდაპირი, გულწრფელი და დაუფარავი.

თუმცა, ყველა ეს მაგალითი ქართული კულტუ-

რის ემოციური სტერილურობის, გამოფიტულობის გამართლებისა და გადარჩენის მცდელობად უფრო მეჩვენება. თამამ გამონაკლისად, ქართული ტრაგედიების ხელოვნებად, შემოქმედებით გამოცდილებად ქცევის და აფეთქების ნამდვილ მაგალითად ქართველი დიზაინერის – დემნას შემოქმედება შემიძლია დავასახელო. მან ქართული რეპრესიული კულტურის ნიუანსები თამამად გაუზიარა დასავლურ აუდიტორიას. შეძლო და უამრავ ვარსკვლავს ჩააცვა ვაჟას და გალაკტიონის ფრაზებით აჭრელებული „ბოლო ზარის“ პერანგები და ქუსლჩათელილი ფეხსაცმელები, Ghana Must Go ჩანთებიც[10]დააჭერინა, მათი მთავარი სიამაყე – ათლეტური სხეულების დახვეწილი ფორმები „oversize“ სამოსში ჩაკარგა, მოდელები, გაწკრიალებული პოდიუმის ნაცვლად ტალახში ატარა და საპატიო „front row“-ც დასვარა. თუმცა, დემნა ყოველთვის ასეთი ეპატაჟურიც არ არის – ლუვრში გამოფენილი ძალიან სადა, ელეგანტური, შავი აბრეშუმის გრძელი კაბა[11] არქიტექტურულ მაკეტს უფრო ჰგავს ვიდრე სამოსს. მისი სილუეტი, ფერი, ფაქტურა ეფექტურად აცოცხლებს ქართული კულტურის კოდს. დიახ, ქართულ კულტურას ნამდვილად ორგანული იყო ეს თავშეკავებული არისტოკრატიზმი. საბოლოოდ დემნა ამ კოსტიუმით სწორედ საქართველოსათვის დამახასიათებელ პომპეზური გლოვის ასოციაციას ბადებს. ლუვრში დატოვებული მშრალი, ლაკონური საავტორო მითითება – „დემნა, სოხუმი, საქართველო“ – კი ის პუნქტიუმია, რომელიც ამ გლოვის შინაარსს ხსნის და სრულყოფილ კონცეფციას და მანიფესტს წარმოადგენს.

თუნდაც მხოლოდ დემნას მაგალითზე, ნათელია, რომ დასავლეთი ღიაა და აქვს ნაციონალური ტკივილის გაზიარების რესურსი, როდესაც ეს სწორად არის მიწოდებული. ფაქტია, რომ ისევ ქართველი არტისტები ვერ პოულობენ სწორ ფორმას სასურველი თემების აქცენტირებისთვის. მაგრამ, აქ ახალი კითხვა ჩნდება – რამდენად სწორია დემნას ქართული კულტურისთვის მიკუთვნება? ერთადერთი, რაც სამშობლოდან საგზლად გავატანეთ, ტკივილია – დევნილობის, გენდერული შეუწყნარებლობის, სოციალური უთანასწორობის. მტკივნეული გამოცდილების ხელოვნების ფორმად გარდაქმნა კი ევროპაში ისწავლა, მას ევროპამ მისცა ეს შესაძლებლობა. გავბედოთ ვიყოთ გულახდილები – იგივე პროდუქტი რომ საქართველოში გაეკეთებინა ხომ ზუსტად ვიცით, როგორ „იხალისებდა“ ქართული საზოგადოება „უცნაურ ბიჭზე“. ვფიქრობ, ისევ დავაგვიანეთ: საუკუნის შემდეგ ბალანჩინიც ძალიან გვინდა ქართველი ქორეოგრაფი იყოს. დიახ, დაუფასებელი ნიჭი და დაკარგული შესაძლებლობები ქართული კულტურისა და ისტორიის კიდევ ცალკე ტრაგედიაა.

გამონაკლისების მაგალითზე განვიხილეთ, რა ფორმით ცდილობს ქართული ხელოვნება ეროვნული ტრაგედიებისა და ტრავმების გააზრებას, მათთვის შემოქმედებითი სახის მიცემას. თუმცა, აღიარებული ჭეშმარიტების – „გამონაკლისი წესს ამტკიცებს“ გათვალისწინებით, გვიწევს განვაცხადოთ, რომ ქართული თანამედროვე ხელოვნება მხოლოდ პასიური აღმქმელია, ისტორიული ტრავმების ვიზუალიზაცია იშვიათად იღებს ეფექტურ ესთეტიკურ ფორმას და უფრო ხშირად ანთროპოლოგიური დუმილის ან პათეტიკური გააზრების ფარგლებში რჩება. ასახვის შემთხვევაში კი ხშირად ისეთივე მცირე და მოკრძალებული მასშტაბი აქვს, როგორც საქართველოს მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე. შესაბამისად კითხვა – რატომ არ არის პროტესტი ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში? – კვლავ ღიად და უპასუხოდ რჩება.

დღეს ქართული ხელოვნების გამოწვევა არის არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ ეთიკური და მორალური ხელოვნების შექმნა. რადგანაც ხე-

10 Ghana Must Go – საქართველოში ცნობილია, როგორც „ლილოს ჩანთა“ – იკონური, იაფი, გამძლე კუბოკრული ნეილონის ჩანთა. სახელწოდება უკავშირდება 1983 წელს ნიგერიიდან დასავლეთაფრიკელი, ძირითადად განელი, მიგრანტების მასობრივ დეპორტაციას. საკუთარი ნივთების გადასატანად მიგრანტები სწორედ ამ ტიპის ჩანთებს იყენებდნენ, რის გამოც მას ირონიულად „Ghana Must Go“ („განელები უნდა წავიდნენ“) შეარქვეს.
ამ ჩანთის მაღალ მოდაში ინტეგრირებით დემნა მიმართავს რეაპროპრიაციის მეთოდს, ყოველდღიური მოხმარების საგანს ახალი კულტურული და სიმბოლური მნიშვნელობით ტვირთავს. ამასთანავე, ეხმიანება იძულებითი მიგრაციისა და გადაადგილების როგორც გლობალურ, ასევე პირად – ლტოლვილისა და მიგრანტის – გამოცდილებას. ამგვარად, ერთი შეხედვით სრულიად ბანალური საგანი კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერების, ტრავმისა და იდენტობის მატარებელ სიმბოლოდ გარდაიქმნება.

11 2025 წელს კოსტიუმი წარმოდგენილი ლუვრის ისტორიაში მოდის პირველ გამოფენაზე “Louvre Couture. Art and Fashion: Statement Pieces,” მსოფლიოს 65 ყველაზე იკონური დიზაინერის ნამუშევრებს შორის. კოსტიუმის ფოტო, ფაქტობრივად, გამოფენის სავიზიტო ბარათად იქცა. (იხ. ლუვრის ოფიციალური ვებსაიტი)

ლოვნება, რომელიც არ ავლენს ტკივილს, არ არის კრიტიკული, კარგავს პასუხისმგებლობას საკუთარი წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ. ამდენად, ხელოვნების მოვალეობა დღეს არის წარსულის რედემპცია - დავიწყებული ტრავმული გამოცდილების გამოხსნა და მათი გარდაქმნა სიმართლის ფორმად და ახალი მნიშვნელობით აღჭურვა დღევანდელობაში, არა ნოსტალგიური დაბრუნება წარსულთან, არამედ წარსულის და თანამედროვე ტრაგედიების გააზრებული აქტუალიზაცია დღევანდელობაში. ყოველი თაობა მორალურად ვალდებულია გადაარჩინოს ისტორიის ჩრდილში დატოვებული წარსულის მსხვერპლი და დამარცხებულები. იმედია, ქართული ხელოვნება სწრაფად განიკურნება საბჭოეთისაგან მემკვიდრეობით დატოვებული დუმილის კულტურისა და ტკივილის გაუთქმელობის ესთეტიკისაგან, შეძლებს საკუთარი დროის სირცხვილისა და ტრავმების ესთეტიკურ ფორმად გარდაქმნას. მაშინ, ის მართლაც დაბრუნდება თავის მთავარ დანიშნულებასთან - იქნება არა მხოლოდ დროის ანარეკლი, არამედ მისი გადარჩენის შანსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Adorno Theodore, Aesthetic Theory, Minnesota, 1997.
- Baudrillard Jean, Simulacra and Simulation, Michigan, 1981.
- Benjamin Walter, Illuminations, Theses on the Philosophy of History, 1969.
- Elkann Alain, Interview with Yinka Shonibare. https://www.alainelkanninterviews.com/yinka-shonibare/ 04/08/2026

International Journal of Arts and Media Researches - #6 (16) 2026
https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.28

A COUNTRY OF THE POOR FOR SALE! ART AS PROTEST AND A CRITICAL DISCOURSE ON TIME

Natia Tsulukidze

Keywords: contemporary art, protest, postcolonial art, Georgian art, Marina Abramović, Anish Kapoor, Yinka Shonibare, Demna, Gagosh

An examination of contemporary Georgian art clearly reveals its passivity and emotional sterility in reflecting upon and processing its recent historical past. Perpetually oriented toward the glorification of a former era and drawn toward a kind of "necrophiliac" identity, Georgian culture has failed to transform the national and historical trauma inflicted by Russian and Soviet imperialism into works of art. A country liberated from colonial pressure appears intimidated by that very freedom: it remains in a state of conscious captivity, unable to move from a traumatic condition into a post-traumatic one.

Since the 1990s, numerous cultures have produced outstanding examples of postcolonial art (including Iranian culture, for instance, Shirin Neshat or Salman Rushdie). Georgian art remains a regrettable exception; it has not yet freed itself from the culture of silence and the aesthetics of unarticulated trauma inherited from the Soviet era. Both historical and contemporary pain, oppression, and injustice remain taboo subjects. Against this background, a deeply troubling question arises: *does the failure of postcolonial art to emerge within Georgian culture indicate that the national mentality remains conditioned for colonial domination?*

It is paradoxical that "Art is autonomous and it is not; it is both at once"[1]. However, art acquires its true power precisely when it succeeds in resolving this paradox by merging creative will with protest. The discourse of art is inherently critical toward its time. It constitutes a form of resistance not only to political power, but also to socially normalized silence. The history of the 20th century demonstrates that the most powerful artistic languages were created precisely in periods of social crisis (Dada, Expressionism, Surrealism, postcolonial art, dissident art of Eastern Europe), functioning as one of the most sensitive indicators of their time and as a medium reflecting the social, political, and spiritual condition of an era. Yet this is not a mechanical recording of time, but rather the transmission of its inner tempo, belief, and tragedy. It is clear that "To articulate the past historically does not mean to recognize it 'the way it really was'".[2] Accordingly, art is not merely the aestheticization of reality, but the expression of the inner energy of the historical moment in which it is created. In the contemporary era, when social and political crises are constant, one of the principal tasks of art remains protest—against existing orders, discourses of violence, social inequality, and the destruction of the individual.

To claim that art, regardless of period or genre, is fundamentally protest, rebellion, and insurrection, and that the artist is a rebellious nonconformist, would hardly be a novel assertion. Often, alongside

1 ADORNO , Aesthetic, 1997, p. 5.
2 BENJAMIN, Illuminations, 1969, p. 255

purely artistic concerns and stylistic confrontations, the causes of revolt in art are rooted in historically existing injustices or tragedies. Contemporary art, in particular, is characterized by reflection on protest-related themes, and across issues ranging from ecology to gender, we can recall numerous remarkable artists and artworks.

In response to the Balkan War, Marina Abramović presented her performance *Balkan Baroque*[3] at the Venice Biennale in 1997. In a dark, windowless room, dressed in a long white garment, she sat in a pile of cow bones, sang Balkan songs, and for three days meticulously attempted to clean the bones of flesh and blood. The central concept of Abramović's performances is the exploration and testing of the limits of her own physical endurance. However, in this case, the already experienced and widely recognized performer also tested the physical endurance of the audience: the summer of 1997 in Venice was exceptionally hot; the decaying bones were infested with maggots and emitted a horrific odor. Abramović metaphorically constructed an image of the Balkan war and found the most direct and effective means to fully represent its horror. She brought national pain onto the global stage, made one of the most powerful statements through a wordless performance, and, along with the Golden Lion of the Venice Biennale, secured the necessary and urgent attention of the international community for her homeland.

